



თბილისი, 14 მაისი, 2014

ელექტროენერჯის ხარჯებზე ორიენტირებული ქსელური ტარიფები ქართველი მომხმარებლებისთვის

ევროკავშირის მიერ 1.1 მილიონი ევროთი დაფინანსებულმა დამშობილების პროექტმა საქართველოსა და ავსტრიის ენერჯეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის ხელი შეუწყო ქართველი მომხმარებლებისა და ინვესტირებისთვის გაუმჯობესებული და გამჭვირვალე გარემოს შექმნას.

2014 წლის 14 მაისს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გაიმართა დამშობილების პროექტის - „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერჯის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“, დახურვისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იარომევიჩმა კონფერენციის მსვლელობისას აღნიშნა, რომ ენერჯეტიკის სფეროში საქართველო-ევროკავშირის მხარდი თანამშრომლობის ფონზე აღნიშნული პროექტი დაეხმარა საქართველოს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ ენერჯეტიკული თანამეგობრობის წევრობისკენ. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის განცხადებით ენერჯეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებითა და ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციით, საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროკავშირის ენერჯეტიკულ ბაზარს, ხოლო რომან კაკულიამ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა, ისაუბრა საქართველოსა და ევროკავშირის უწყებებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. სემეკის თავმჯდომარის ირინა მილორაგას თქმით კი ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და ენერჯეტიკის სექტორის ფინანსურ მდგრადობას.

E-Control-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მარტინ გრაფმა ისაუბრა ახალი მეთოდოლოგიასა და მის დადებით მხარეებზე, ხოლო ჰანსიორგ თენგმა სმართ ტექნოლოგიების აღმასრულებელმა დირექტორმა მიმოიხილა ბაზრის გახსნასთან დაკავშირებული გამოწვევები.

პროექტის ლიდერებმა - დიტმარ პრაინსტროფერმა E-Control-ის, ხოლო გოჩა შონიამ სემეკის მხრიდან დაწვრილებით ისაუბრეს პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგებზე და კმაყოფილება გამოხატეს პროექტის მთლიანი გუნდის მუშაობით. კონფერენცია დასრულდა ავსტრიის რესპუბლიკის საპატიო კონსულის საქართველოში, მისი აღმატებულების ქალბატონი ევა ბერგერის გამოსვლით, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით ავსტრიისა და საქართველოს თანამშრომლობამ და მეგობრობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული ენერჯეტიკული ბაზრის განვითარებაზე.

პროექტი, რომლის სახელწოდებაა - „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერჯის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“ და რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ 1.1 მილიონი ევროთი 21 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და დასრულდება 2014 წლის ივნისში. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს, ავსტრიის, გერმანიისა და ლატვიის ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოები ასევე ავსტრიის ენერჯეტიკული ბირჟა.



პროექტს ახორციელებს
E-Control

www.e-control.at
www.energy-twinning.at

საქართველოს ენერჯეტიკისა და
წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული
კომისია
ა. მიცავეიჩის 19
თბილისი, 0194, საქართველო
ტელ.: +995 43 1 256122
ფაქსი: +995 43 1 256121

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი
0102 საქართველო
ტელ.: +995 32 2 943763
ფაქსი: +995 32 2 943768

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა.

„ევროკავშირი 28 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები
წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ,
ახდენდნენ რესურსების მოზიდვას და ქმნიდნენ საერთო მომავალს. 50 წლის
განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს
სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე. ამ
პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და
ადამიანის პირადი თავისუფლება. ევროკავშირის მიზანი მის ფარგლებს გაერთ
მყოფი ადამიანებისა და სახელმწიფოებისათვის სწორედ ამ მიღწევების და
ფასეულობების გაზიარებაა.“